ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის წერილის #10/18535 პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 88-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, 31ოქტომბერს 2 საათზე, ისნის რაიონის, ვაზისუბნისა და მე-8 ლეგიონის სამაჟორიტარო ოფისში შედგება ამომრჩევლებთან ანგარიშის წარდგენა ჩემს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს წარმოგიდგენთ დანართის სახით.

დანართი: 20 ფურცელი

პატივისცემით,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრი, ვაზისუბნისა და მე-8 ლეგიონის
მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი აბუსერიძე

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
ფურცელთა რაოდენობა 1 ფურცელი
№ 10/18535 26.10.16 წ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის, ისნის რაიონის, ვაზისუბნისა და მე-8 ლეგიონის

მაჟორიტარი წევრის ირაკლი აბუსერიძის 2015 წლის ანგარიში



შინაარსი

1.შესავალი

2.შემოსული განცხადებები

3. ინფრასტრუქტურული სამუშაოები

4. მაჟორიტარის აქტივობები

5. სამომავლო გეგმები

6. საკრებულოს სხდომებში, კომისიებსა და ფრაქციის მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია.

შესავალი

ისნის რაიონის, ვაზისუბნისა და მე-8 ლეგიონის მაჟორიტარი დეპუტატის ბიურო, საანგარიშო პერიოდში ხელმძღვანელობდა საქართველოს კონსტიტუციით, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით. ბიურო თავის საქმიანობას წარმართავს უფლებამოსილების ფარგლებში.

სამაჟორიტარო ბიურო მუშაობს 2014 წლის 25 აგვისტოდან. მოქალაქეთა მიღება იმართება ყოველ ოთხშაბათს. ბიუროს თანამშრომლები ორგანიზებას უწევენ მაჟორიტარის პირად შეხვედრებს, გასცემენ კონსულტაციებს მოქალაქეთა მიერ დასმულ პრობლემებზე და იხილავენ შემოსული განცხადებების არსს, მაჟორიტართან კონსულტაციის საფუძველზე შეიმუშავებენ პრობლემის გადაჭრის სტრატეგიას.



შემოსული განცხადებები

შეხვედრების დროს მოქალაქეები ძირითადად მოგვმართავდნენ სოციალური, ინფრასტრუქტურული, დასაქმების, და მიწის ლეგალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემებით.

შემოსული განცხადებების უმეტესობა სოციალურ პრობლემებს ეხება: ოპერაციების, მკურნალობის და მედიკამენტების დაფინანსება. ასევე ბევრ მათგანს შუამდგომლობის საფუძველზე გაეწია ერთჯერადი ფინანსური დახმარება.

1. სოციალური შინაარსის წერილები :

1.1. მედიკამენტური დახმარება გაეწია -171 ადამიანს (30811,31) ლარი

1.2. მკურნალობა დაუფინანსდა -- 82 ადამიანს (27385,85)ლარი

- ოპერაციის დაფინანსება_40 ადამიანს (9462,91) ლარი

1. 3. ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწია _50 ადამიანს 5000 ლარი

საგანგაშოდ დიდია იმ მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებიც ითხოვენ სოციალურად დაუცველის სტატუსის დარეგისტრირების შემდეგ მინიჭებული სარეიტინგო ქულების გადამოწმებას. მძიმეა იმ სოციალურ დაუცველ პირთა მდგომარეობა, რომლებსაც თავშესაფარი არ გააჩნიათ. აღსანიშნავია, რომ მიწისძვრით ან სტიქიით დაზარალებულ პირებს ეძლევათ ქირით დაკმაყოფილების შესაძლებლობა, მაგრამ სხვა გარემოებათა გამო უსახლკაროდ დარჩენილი პირებისათვის ასეთი სახის ღონისძიება შეზღუდულია. 2015 წელს ირაკლი აბუსერიძის შუამდგომლობის საფუძველზე სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ოთხი ოჯახის ქირით გაყვანა განხორციელდა.

სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით შუამდგომლობებს ვაგზავნით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, საიდანაც ვიღებთ დადებით პასუხებს და ფინანსდება მკურნალობა და ოპერაციები. ასევე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შუამდგომლობის წერილებს ვაგზავნით ისნის რაიონის გამგეობაში.

ინფრასტრუქტურული სამუშაოები

2015 წელს ინფრასტრუქტურის კუთხით ჩატარდა შემდეგი სარეაბილიტაციო სამუშაოები:

საგზაო სამუშაოები:

ვაზისუბნის 1მ/რ-ის მიმდებარე მოედანი
ვაზისუბნის დასახლება N7,8 კორპუსები
სამგორის დასახლება #23ბ
კვაჭანტირაძის ქ. (ვაზსიუბნის დას) №15,16 კ-ები
ვაზისუბნის 2მ/რ-ის #15-19-ები
ვაზისუბნის IVმ/რ-ის IIკვ # 9 კორპუსი
სამგორის დასახლ. №25კ.
სამგორის №26-27კ-ები და კიბეებთან მისასვლელი
ხელოვანთა ქუჩა

პრობლემების ადგილზე გაცნობის მიზნით ბიუროს წევრებთან ერთად ხშირად იმართება გასვლითი შეხვედრები. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრის დროს გამოვლინდა, რომ ვაზისუბანში, კერძოდ ხელოვანთა ქუჩაზე წლების განმავლობაში არ არსებობდა გზა და მოსახლეობას შემოვლითი გზით უხდებოდა გადაადგილება, 2015 წელს მაჟორიტარის ინიციატივით და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, ისნის რაიონის გამგეობის მხარდაჭერით ასფალტის საფარი აღნიშნულ მისამართზე დაიგო.

რეაბილიტირებული სკვერები და მოედნები

№	მისამართი	დასახელება
1	ვაზისუბნის დას.. კორპ.N5ის წინ	სკვერს ცაუტარდა რეაბილიტაცია
2	ვაზისუბნის II მ.რ.. N23 კორპუსი	სკვერი
3	ვაზისუბნის 4მ/რ 1კვ. 10-ე 11-ე კორპუსების მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სკვერი	სკვერი
4	ვაზისუბნის IV მ.რ I კვ. . N172 ს/ს კოლის წინ	სკვერი
5	ვაზისუბნის დასახლება კორპ.#21 კორპუსის მიმდებარედ.	სპორტული მოედანი
6	მე-8 ლეგიონის 36ვ კორპუსის მიმდებარედ.	სპორტული მოედანი
7	ვაზისუბნის 4მ/რ 1კვ. კორპ.#13ის წინ	სპორტული მოედანი
8	ვაზისუბნის დასახლებაში მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე გაიხსნა ჩოგბურთის მოედანი.	სპორტული მოედანი
9	ვაზისუბნის დას კორპ.#5-ის ეზოში რეაბილიტაცია ჩაუტარდა სპორტულ მოედანს.	სპორტული მოედანი
13	წულუკიძის მე-4 შესახვევში რეაბილიტაცია ჩაუტარდა სპორტულ მოედანს.	სპორტული მოედანი










ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ისნის რაიონის ვაზისუბნისა და მე-8 ლეგიონის მაჟორიტარი დეპუტატის, ირაკლი აბუსერიძის მხარდაჭერით, ვაზისუბნის დასახლებაში, I კორპუსის მიმდებარედ, ჩოგბურთის მოედანი გაიხსნა.
ახალი სპორტული ობიექტის გახსნას მაჟორიტარი დეპუტატი, ისნის რაიონის გამგებლის მოადგილეები, ვაზისუბნის ტერიტორიული ერთეულის, გამგეობის წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა ესწრებოდა.

როგორც ირაკლი აბუსერიძემ აღნიშნა, სპორტის ამ სახეობისთვის განკუთვნილი მოედნის გახსნა ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნით განხორციელდა. „თხოვნა სამაჟორიტარო ბიუროში ჩოგბურთის მოედნის გახსნის შესახებ მოსახლეობისგან შემოვიდა. ადგილობრივი ახალგაზრდობა, სპორტის ამ სახეობის მიმართ, განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს რაც მისასალმებელია.

საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემები

1	სამგორის დას. კორპ.. N26	კანალიზაცია
2	ვაზისუბნის II მ.რ. კორპ.N2 (ქსელის გარეცხვა)	კანალიზაცია
3	ვაზისუბნის IV მ.რ. I კვ.# 149 ყოფილი საბავშვო ბაღი	კანალიზაცია
4	ვაზისუბნის III მ.რ.II კვ. კორპ. N15 კ.	კანალიზაცია
5	ვაზისუბნის I მ.რ. I6-17 კორპ.	კანალიზაცია
6	ხელოვანთა ქუჩა.	კანალიზაცია

N	მისამართი	დასახელება
1	ვარკეთილის Iv მ.რ.. -III კვ.. 5კ	სანიაღვრე
2	ვაზისუბნის დას.. #9 კ..	სანიაღვრე
	სულ:	

ვაზისუბანსა და მე-8 ლეგიონში ბიუროს წევრების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ რაიონში მძიმე ინფრასტრუქტურული მდგომარეობაა. აღნიშნული პრობლემების მოგვარება ეტაპობრივად მიმდინარეობს.

შეხვედრების დროს გამოვლინდა, რომ ვაზისუბნის მე-2 მ/რ-ში არსებულ ყოფილ 165-ე ბაგა-ბაღში სადაც დევნილებია ჩასახლებული წლებია არ არსებობს საკანალიზაციო სისტემა და ფეკალური მასები მიწის ზედაპირზე და სარდაფში მიედინება, რაც საფრთხეს და დისკომფორტს უქმნის მოსახლეობას. აღნიშნულ ბაღში ასევე დაზიანებულია შიდა გზა. შიდა გზის რეაბილიტაცია გათვალისწინებული იქნება 2016 წლის ბიუჯეტში და 2015 წლის ბიუჯეტში ერთ-ერთ პრიორიტეტად მიჩნეულია აღნიშნული ბაღის საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგება. სამუშაოების შესრულება დაეკისრა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახურს. პრობლემა საკმაოდ მწვავე აღმოჩნდა და სამუშაოების დაწყება გაჭიანურდა, მაგრამ დაახლოებით ერთი თვის ვადაში გაფორმდება ხელშეკრულება ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან და სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყება.

გამაგრებითი სამუშაოები ჩაუტარდა შემდეგ კორპუსებს:

- ვაზისუბნის დასახლებამე-2 კორპუსი;
- ვაზისუბნის დასახლება მე-3 კორპუსი;
- ვაზისუბნის დასახლება 15ა კორპ.
- ვაზისუბნის დასახლება 16აკორპ.
- ვაზისუბნის დასახლება 19აკორპუსი;
- ვაზისუბნის მე-3მ/რ, 2კვ, კ,18

მაჟორიტარის აქტივობები

რაც შეეხება აქტივობებს, 2015 წლის დასაწყისში, ვაზისუბანსა და მე-8 ლეგიონში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ და მრავალშვილიან ქალბატონებს მე–4 საჯარო მედიცინის ცენტრში უფასო გინეკოლოგიური კვლევა ჩაუტარდათ. მოგეხსნებათ, ჯანმრთელობის გარანტია, ექიმთან დროული ვიზიტი და დროული დიაგნოსტიკაა სწორედ ეს გახლდათ აღნიშნული აქციის მიზანი.



ვაზისუბანში ყოფილ 149-ე ბაგა ბაღში ჩასახლებულია გორიდან იძულებით გადაადგილებული პირების 12 ოჯახი. 31 ადამიანი დევნილია, 2 ოჯახი (7 ადამიანი) სოციალურად დაუცველია. ირაკლი აბუსერიძემ ბიუროს წევრებთან და"best market"-ის მფლობელთან ლევან დავითაშვილთან ერთად დევნილები მოინახულა, გაეცნო მათ პრობლემებს და სასურსათო პროდუქტები გადასცა.



მე-8 ლეგიონის მოსახლეობამ ირაკლი აბუსერიძეს თხოვნით მიმართა საბავშვო ბაღის მშნებელობასთან დაკავშირებით. აღნიშნულ რაიონში არ არსებობდა საბავშვო ბაღი, რაც მშობლებს პრობლემას უქმნიდა, რადგან უმეტეს ნაწილს არ გააჩნდა ფინანსური სახსრები, რომ აღსაზრდელები კერძო ბაღში მიეყვანათ. 2015 წელს მაჟორიტარის ინიციატივით და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდჭერით, მე-8 ლეგიონში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა დაიწყო, რომელიც წლის ბოლომდე დასრულდება.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მოზარდმაყურებელთა თეატრში ბავშვებისადმი მიძღვნილი სპექტაკლი გაიმართა. წარმოდგენას ისნის რაიონში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ბავშვები დაესწრნენ. „ აღსაზრდელების განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენ ხელი უდნა შევუწყოთ მათ განვითარებას, რათა საზოგადოების სრულფასოვან წევრებად ჩამოყალიბდნენ. მსგავსი აქციები კვლავ გაგრძელდება.“ განაცხადა ირაკლი აბუსერიძემ.

მეტად მნიშვნელოვანი თემაა, რასაც შეზღუდული შესაძლებლობები ქვია. შ.შ.მ. პირებს უფლება აქვთ იყვნენ საზოგადოების სრულფასოვანი წევრები. საზოგადოების უმეტესი ნაწილისთვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ასოცირდებიან უნარშეზღუდულ ადამიანებთან, რომელთაც ძალა არ შესწევთ იცხოვრონ დამოუკიდებლად და მუდმივად საჭიროებენ სხვის დახმარებას. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნისა და მათი საზოგადოებასთან ინტეგრირების ხელშეწყობის მიზნით 2015 წელს ვაზისუბანში გაკეთდა პანდუსები

1	ვაზისუბნის II მ.რ. კორპ. . N2, I სადარბაზო პანდუსი	შშმ პირისთვის
2	ვაზისუბნის III მ.რ. II კვ.. კორპ.. N8, III სადარბაზო	შშმ პირისთვის პანდუსი

- ასევე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ისნის რაიონში მცხოვრები შ.შ.მ. პირი, პატარა პანაიოტი მოინახულა და მოზარდს ეტლი გადასცა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის მხარდაჭერით და ირაკლი აბუსერიძის ინიციატივით ისნის რაიონში, ვაზისუბანში გაიმართა "ღია კონცერტი". კულტურულმა ღონისძიებამ ვაზისუბნის მოსახლეობის დიდი სიხარული, ინტერესი და აღფრთოვანება გამოიწვია. კონცერტის პროგრამა გამოირჩეოდა მრავალფეროვნებით. მასში მონაწილეობდნენ: ზურაბ დოიჭაშვილი, ბესო კალანდაძე, ნუგზარ კვაშალი, ზურაბ ვადაჭკორია, საღამოს უძღვებოდა ბესო ბერულაშვილი. ღონისძიებას დაესწრო ისნის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი აბუსერიძე.

"ივნისის სტიქიის დროს ირაკლი აბუსერიძის სამაჟორიტარო ბიურო საგანგებო რეჟიმში მუშაობდა, დაზარალებულთათვის აგროვებდნენ საკვებ პროდუქტებსა და პირველადი მოხმარების ნივთებს. დედაქალაქში მომხდარი წყალდიდობის გამო, უსაფრთხოების უზრუნველყოფის , ვაზისუბანსა და მე-8 ლეგიონში სტიქიური სიტუაციებისადმი მზადყოფნისა და თავიდან აცილების მიზნით მაჟორიტარი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დოქტორს, გიორგი დვალაშვილს შეხვდა და გაეცნო რაიონში არსებულ გეოლოგიურ მდგომარეობას. გიორგი დვალაშვილთან ერთად ვაზისუბანში არსებული ხევი დაათვალიერა. როგორც გეომორფოლოგმა განაცხადა, აღნიშნულ ხევში ჩაედინება ვაზის წყალი, რომელიც სათავეს მახათას მთის სამონასტრო კომპლექსიდან იღებს, გადის ვაზისუბნის ხევში და უერთდება უძოს ქუჩის კოლექტორს. პრევენციული ღონისძიების მიზნით აღნიშნული კოლექტორის მდგომარეობის შემოწმება განხორციელდა.

2015 წლის 16 ოქტომბერს ვაზისუბანში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ირაკლი აბუსერიძის ინიციატივით და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის, ისნის რაიონის ტერიტორიული ორგანოს მხარდაჭერით თბილისობისადმი მიძღვნილი

ღონისძიება გაიმართა. მასში მონაწილეობა მიიღეს: მოსწავლეთა სახლის აღსაზრდელებმა, ქორეოგრაფიულ ანსაბლმა ჯორჯიამ და ბავშვთა ანსაბლმა ბზიკებმა. აგრეთვე გაიმართა სპორტული ღონისძიებები შეჯიბრი რაგბში და ფეხბურთში. მოგახსენებთ, რომ მსგავსი ტიპის ღონისძიებები მისასალმებელია და აღნიშნულ რაიონში ყოველწლიურ ტრადიციად იქცევა.

სამომავლო გეგმები

ისნის რაიონში ფუნქციონირებს თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო იურიდიული პირი სასწავლო, საგანმანათლებლო დაწესებულება „მოსწავლეთა სახლი“, რომელიც ემსახურება აღსაზრდელების განვითარებას სხვადასხვა დარგების მიმართულებით. სასწავლო დაწესებულება დაფუძნებულია სასკოლო ასაკის აღსაზრდელთა და მოზარდთა თავისუფალი დროის გონივრული გამოყენების მიზნით.

აღნიშნულ სახლში სულ 443 ბავშვია რეგისტრირებული. 226 მოსწავლე სოციალურად დაუცველთა ბაზაში ირიცხება.“ მოსწავლეთა სახლი“ ხელს უწყობს ინკლუზიური ბავშვების ინტეგრირებას საზოგადოებასთან.

მოსწავლეთა სახლი ამ ეტაპზე წარმოადგენს დამოუკიდებელ სკოლისგარეშე მრავალპროფილიან სასწავლო დაწესებულებას, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა სასწავლო-სპორტულ წრეებს. სასწავლო პროცესი ნებაყოფლობითია.

- თეატრალური;
- სამხატვრო (ხატწერა);
- მუსიკალური; (საესტრადო ვოკალური)
- ინგლისური;
- მათემატიკა;
- კარატე;

აღსაზრდელები და მშობლები ითხოვენ წრეების დამატებას:

- ფეხბურთი;
- კალათბურთი;
- სახელობითი(ხე თექა კულინარია). არასაკმარისი ფართის გამო ვერ ხერხდება აღნიშნული წრეების დამატება.

მოსწავლეთა სახლი განთავსებულია136-ე საბავშვო ბაღის შენობაში, სადაც ასრასაკმარისი ფართია. ჩვენი მიზანია აღნიშნული დაწესებულებისთვის ალტერნატიული ფართის მოძიება და სააღმზრდელო დაწესებულებისთვის ფართის დაბრუნება, რის შედეგადაც ბაღში დაემატება ახალი ჯგუფები და შესაბამისად გაჩნდება ახალი სამუშაო ადგილები.

მოგეხსენებათ, რომ დღეს უამრავი პრობლემა არსებობს ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით. სპორტული ცხოვრების წესის, მიყოლა, ჯანსაღი ცხოვრების საწინდარია. მეორეს მხრივ, აქტიური, ჯანსაღი ცხოვრება კრიმინოგენური გარემოს ნეიტრალიზების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, რადგან იგი ხელს უწყობს ჯანსაღი ფსიქიკის ჩამოყალიბებას და დროის ფუჭად ფლანგვის ნაცვლად ცხოვრების უფრო საინტერესო წესით დაკავებას. ვაზისუბნის მე-4მ/რ-ის 1 კვარტალში არსებული სპორტული მოედანი არმაზი მძიმე ინფრასტრუქტურულ მდგომარეობაშია და ბავშვებს რთულ პირობებში უწევთ ვარჯიში. აღნიშნული მოედნის რეაბილიტაცია უახლოეს მომავალში იგეგმება.

საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციის მუშაობაში

მონაწილეობის შესახებ იმფორმაცია.

ქალაქ. თბილისის საკრებულოს სხდომა-25 სხდომა

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა-24 სხდომა

განხილული საკითხები- 31 საკითხი

„ფრაქცია ქართული ოცნება“ -16 სხდომა



ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიხანაშვილს

ბატონო გიორგი,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის წერილის #10/18535 პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 88-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, 31ოქტომბერს 2 საათზე, ისნის რაიონის, ვაზისუბნისა და მე-8 ლეგიონის სამაჟორიტარო ოფისში შედგება ამომრჩევლებთან ანგარიშის წარდგენა ჩემს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს წარმოგიდგენთ დანართის სახით.

დანართი: 20 ფურცელი

პატივისცემით,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრი, ვაზისუბნისა და მე-8 ლეგიონის

მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი აბუსერიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატი
ფურცელი რაოდენობა 1 ფურცელი
№ 10/18535 26.10.150

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრს

ბატონ ირაკლი აბუსერიძეს

ბატონო ირაკლი,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 88-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკრებულოს წევრები ვალდებულნი არიან მოაწყონ საჯარო შეხვედრები მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან და წარუდგინონ მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს. ანგარიში ძირითადად უნდა მოიცავდეს: საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციას; საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებასა და ინიცირებაზე ინფორმაციას; ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაციას; ასევე, საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაციას და ა.შ.

გთხოვთ საკრებულოს თავმჯდომარეს მიაწოდოთ ინფორმაცია ამომრჩევლებთან ანგარიშის წარდგენის ადგილის, თარიღისა და სხვა დამატებითი დეტალების შესახებ არაუგვიანეს 20 ოქტომბრისა, რადგან საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს შესაბამისი გრაფიკის შედგენა. საკრებულოს წევრს თავისი სურვილის შესაბამისად უფლება აქვს გამოიყენოს საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა ანგარიშის წარსადგენად. ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საჯაროდ ცხადდება საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში, წარდგენიდან 10 დღის ვადაში. შესაბამისად, გთხოვთ საკრებულოს თავმჯდომარეს მიაწოდოთ შესაბამისი ანგარიში წარდგენიდან 3 დღის ვადაში წერილობითი სახით.

დანართის სახით გიგზავნით, საკრებულოს წევრის ანგარიშის ნიმუშს.

პატივისცემით,

საკრებულოს აპარატის უფროსი

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატი

№ 10/18535

"12" ოქტომბერი 2015 წ.

ფურცელთა რაოდენობა 3 ფურცელი

0105, თავისუფლების მოედანი №2

10/18535
12 10 15

პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრს

ბატონ ირაკლი აბუსერიძეს

ბატონო ირაკლი,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 88-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკრებულოს წევრები ვალდებულნი არიან მოაწყონ საჯარო შეხვედრები მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან და წარუდგინონ მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს. ანგარიში ძირითადად უნდა მოიცავდეს: საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციას; საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებასა და ინიცირებაზე ინფორმაციას; ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაციას; ასევე, საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაციას და ა.შ.

გთხოვთ საკრებულოს თავმჯდომარეს მიაწოდოთ ინფორმაცია ამომრჩევლებთან ანგარიშის წარდგენის ადგილის, თარიღისა და სხვა დამატებითი დეტალების შესახებ არაუგვიანეს 20 ოქტომბრისა, რადგან საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს შესაბამისი გრაფიკის შედგენა. საკრებულოს წევრს თავისი სურვილის შესაბამისად უფლება აქვს გამოიყენოს საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა ანგარიშის წარსადგენად. ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საჯაროდ ცხადდება საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში, წარდგენიდან 10 დღის ვადაში. შესაბამისად, გთხოვთ საკრებულოს თავმჯდომარეს მიაწოდოთ შესაბამისი ანგარიში წარდგენიდან 3 დღის ვადაში წერილობითი სახით.

დანართის სახით გიგზავნით, საკრებულოს წევრის ანგარიშის ნიმუშს.

პატივისცემით,

საკრებულოს აპარატის უფროსი ელენე დუმბაძე

დანართი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის ----

2015 წლის ანგარიში

- საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია

- საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებასა და ინიცირებაზე ინფორმაცია

- ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია

- საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია

- სხვა სახის ინფორმაცია

საკრებულოს წევრი

(სახელი; გვარი) *(ხელმოწერა)*